ცნობის ფურცელი

№ 2279 სამშაბათი, 30 სექტემბერი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2279

გაზეთის ღირს: წელიწადში—6 მან., ცალკე თვეში 50 კ. ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію **„Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“**. ტელეფონი № 372.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული თეატრი

სამშაბათს, 30 სექტემბერს, 1903 წელს **ავლაბრის ახალ თეატრში**
ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქმნება

I

რაც გინახავს ველარ ნახავ

კომედია 3 მოქმ. ა. ცაგარლისა.

II

დედის ერთა

ვოდევილი 1 მოქმ. ვ. გუნიასი.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, ნ. გაბუნია-ცაგარელი, ნ. გამყრელიძე, ნ. დავითაშვილი, ნ. ყიფიანი, მ. მდივანი, ნებიერიძე, ა. რონელი, ელ. ჩერქეზიშვილი, ნ. ჯავახიშვილი. ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, დ. აწყურელი, დ. ბაქრაძე, გ. გედევანოვი, ვ. გამყრელიძე, ნ. გვარაძე, ი. ივანიძე, კ. მესხი, ს. სვიმონიძე. კ. ყიფიანი, კ. შათირიშვილი, იორდანიშვილი.

დასაწყისი 8 საათზე. რეჟისორი **ვ. აბაშიძე.**

ტფილისის სახაზინო თეატრი. რუსული ოპერა.

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.
სამშაბათს, 30 სექტემბერს, 1903 წ., წარმოდგენილი იქმნება

დემონი

ოპერა 4 მოქმედებად, მუსიკა რუბინშტეინისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი: ალმაევა, რადიონოვა, ლელინა; ბ-ნნი: სელიავინი, გლადკოვი, სანგურსკი, გავრილოვი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. კაპელმეისტერი ი. პოზენი.

ანონსი: 1 ოქტომ.—„აიდა“ ვერდისა; 2 ოქტომ. ფიგნერის მონაწ.—„ევგენი ონეგინ“, ჩაიკოვსკისა; შაბათს, 4 ოქტომ.—„ფაუსტი“. (ნ.)

იბეჭდება ახალი გამოცემა „წერა-კითხვის გამავრცელ. საზოგადოებისა“

საქართველოს კალენდარი

1904 წლისა

რედაქცია ფილ. გოგიჩაიშვილისა.

კალენდარი შესწორებულია და შევსებული მრავალის ახალის ცნობებით. კალენდარში მოთავსებული იქმნება სხვა-და-სხვა სამეცნიერო წერილი და სალიტერატურო განყოფილება. კალენდარი წინანდებურად დასურათებული იქმნება.

მიიღება განცხადებები კალენდარში დასაბეჭდად

წიგნის თავში—1 გვ.—10 მან., ნახევარ გვ.—6 მან. წიგნის ბოლოში—1 გვ.—6 მან., ნახევ. გვ.—4 მან.

განცხადება მიიღება: ტფილისში—საზოგადოების კანცელარიაში (Общество грамотности), ქუთაისში—ვ. ბეჟანიშვილთან და მიტრ. ლაღიძესთან, ბათუმში—მათე ნიკოლაძესთან და სპ. ჭელიძესთან.

იბეჭდება იმავე „საზოგადოების“ გამოცემა

კედლის კალენდარი

კალენდარი იქმნება დიდის ფორმატისა. წინა გვერდზე, გარდა საეკკლესიო ცნობებისა, აღნიშნული იქმნება ისტორიული მოვლენანი; უკანა გვერდზე მოყვანილ იქმნება გამოჩენილ პირთა აზრები, ლექსთა ნაწყვეტები, ისტორიულ-ბიოგრაფიული და სხვა გამოსადეგი ცნობები. (10—6.—3)

მასაჟის და საექიმო გიმნასტიკის

კურსები

გედევანიშვილის სამკურნალოში

15 ოქტომბრიდან

მასაჟი | **გ. სობოლევსკი.**
ფიზიოლოგია | **ე. ფეოდოროვი.**
ანატომია | **ა. მაღალაშვილი.**

(8—6.—8)

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ჭიჭინაძე—კბილისა, 8—10 საათამდე.

ლ. ივ. კამოევი.—საშარდეს, ვენერ. სიფილ. 10 ს.—11-მდე.

ნ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10 საათამდე.

ი. პ. ახალშენიშვილი.—კბილისა, 10 ს. 11 ს.

ა. გ. მაღალაშვილი.—ბავშვებისა და შინაგ. 10—11 საათ.

ლ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ექ. ქალი მ. კ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

გრ. მ. სოგოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშ., პარასკ. და შაბათ. 1—2 საათამდე.

ვ. მ. მანსვეტოვი.—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების, კვირაობით 10—12.

საღამოთი:

ა. გ. მაღალაშვილი.— შინაგ., ბავშ., ყვავილის აცრა და მიკროქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

სამკურნალოს აქვს ოცი საწოლი კრავატი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9, მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

(წლ.) **ტელეფონი № 274.**

დამყნილი სანერგე

ამერიკული ვაზისა

ამით ვაცხადებ, რომ მსურველთ შეუძლიანთ დაიკვეთონ ამ თავითვე ნამყენები და აგრეთვე მიიღონ დაბეჭდილი ცნობები სანერგის შესახებ.

ადრესი: Квирилы, Георгію Михайловичу Чивадзе (10—1718—2)

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა, № 24 სახლი ვაჩნაძისა. (წლ.)

კბილის ექიმი

ი. პ. ახალშენიშვილი

(ელისაბედის ქუჩა, № 38).

იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამოობით 5—7-მდე-

ქ. ქუთაისში

ექ-მი გაბრიელ იოსების ძე

გოკიელოვი

გადავიდა ალექსანდრეს ქუჩაზე საკუთარს სახლში. ავადმყოფებს იღებს დილის 9—12 საათამდე, საღამოთი 5—7-დის. 7 საათიდან ელექტრონით წამლობა. (20—6.—18)

საზღვარ-გარედ

—

ინგლისი. „რეიტერის სააგენტო“ იუწყება: მთავრობის პარტიის წინამძღოლი ზედა-პალატაში დევონშირის ჰერცოგი 22 სექტემბერს სამსახურიდან გადადგა. ჰერცოგმა მისწერა ბალფურს: თქვენ აშკარად უარ-ჰყავით თავისუფალი ვაჭრობა, მე კი წინანდებურად თავისუფალ ვაჭრობის მომხრე ვარ, ამიტომ სამსახურიდან გავდივარო.

„დეილი ნიუს“-ი სწერს: დევონშირის ჰერცოგის გადადგომა ძლიერ დაასუსტებს მთავრობასაო. „სტანდარდ“-ი ამბობს: დევონშირის ჰერცოგის გადადგომა დიდი დასაკლისია უამისოდაც შერყეულ მთავრობისათვისაო. ბალფურმა დიდი საყვედური გამოუცხადა დევონშირის ჰერცოგს: ჯერ დამპირდით, სამსახურში დავრჩებიო, ეხლა კი სწორედ გაჭირვების დროს მიატოვეთ სამინისტროო.

◆ დეპეშებიდან ვიცით, რომ გადამდგარ მინისტრების მაგიერად მთავრობამ ახლები დანიშნა. ფინანსთა მინისტრად, რიჩის მაგიერ, ოსტენ ჩემბერლენი დანიშნეს. ოსტენ ჩემბერლენი კოლონიების მინისტრად ნამყოფის ჯოზეფ ჩემბერლენის უფროსი შვილია, წინად ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრად იყო; 40 წლისაა. ახალი სამხედრო მინისტრი არნოლდ ფორსტერი წინად არა ყოფილა სამინისტროს წევრად; ისტორიასა და საზოგადო მეცნიერებაზე მრავალი თხზულება აქვს დაწერილი. სამხედრო საქმისა ბევრი არა იცის-რა; 48 წლისაა. ინდოეთის საქმეთა მინისტრად, ლორდ ჰამილტონის მაგივრად, ბროდრიკი დანიშნეს. ბროდრიკი უკანასკნელ სამის წლის განმავლობაში სამხედრო მინისტრად იყო და აქამდე თავი არაფრით არ უსახელებია; პირიქით, ბევრი მომჩივანი და მომდურავი ჰყავს. არც თუ შოტლანდიის საქმეთა ახალი მინისტი ენდრიუ გრეგამ მურეი და ფოსტა-ტელეგრაფის ახალი მინისტრი ლორდ სტენლი არიან გამოჩენილი მოღვაწეები. კოლონიების ახალ მინისტრს ალფრედ ლიტლტონს ხომ აქამდე სულ არავინ იცნობდა პოლიტიკოსთა წრეებში. ლიტლტონი 46 წლისაა ამ ჟამად. განათლებით—იურისტია და აქამდე ადვოკატობას მისდევდა; 1895 წელს აქეთ დეპუტატთა პალატის წევრადაა, მაგრამ თავი არაფრით არ გამოუჩენია. ლიტლტონი გამოჩენილი სპორტსმენია და მრავალჯერ გაუმარჯვნია კროკეტისა, ლაუნ-ტენისისა და ბურთის თამაშობაში. ცნობითაც ლიტლტონს მხოლოდ სპორტსმენები იცნობენ. ახალი მინისტრები სულ დეპუტატთა პალატის წევრები არიან.

◆ ლიბერალებს იმედი აქვთ, რომ ეხლანდელი მთავრობა მალე სამსახურიდან გადადგებაო. შეფილდში ნადიმის დროს პირველ მინისტრს ბალფურს გადაჭრით უთქვამს: „ეს ტყიული იმედიაო. აგერ ექვსი თვე იქნება, რაც ჩვენი მოწინააღმდეგენი სიამოვნებით აცხადებენ, მთავრობა მალე დაეცემაო. ამაზე როდი ვემდური ოპოზიციას. მაშ თავი რით უნდა შეიქციოს? მაგრამ მე მაინც სამსახურიდან გადადგომას არ ვაპირობ. სინამ 1900 წელს არჩეული უმეტესობა მხარს აძლევს ჩემს სამინისტროს (ტაშის ცემა), სამსახურიდან არ გადავდგები და ნაკისრ საქმეს არ მივატოვებ. ამისთანა ფიქრს გუნებაშიაც კი არ გავიტარებ.“

◆ დიდი აგიტაცია გამართა ჩემბერლენმა. ბარმინჰამში მრავალ ბროშიურასა, პამფლეტსა და ცირკულიარს აბეჭდვინებს. ჩემბერლენს უნდა, რომ მთელი ინგლისი ამ წიგნებით გაავსოს. 60 ახალგაზდა ქალი მარტო კონვერტებსა და ბანდეროლებს ამზადებს, 50 კაცი კიდევ ამ ბროშიურების გაგზავნასა, ფოსტაში ჩაბარებას და წერილების მიღებას უნდება. ჩემბერლენს დიდძალი წერილი მოსდის ინგლისის ყოველ კუთხიდან, თითონაც ურიცხვ წერილს უგზავნის თავის მრავალ კორესპონდენტებს. ამას წინად ერთმა მიკიტანმა შეატყობინა ჩემბერლენს: „ჩემს ბოთლებს ყველას ამნაირ ეთიკეტს მივაკრავო:“ სატამოჟნო რეფორმებს მხარი დაუჭირეთ.“ ჩემბერლენმა თავის მდივანს დაავალა, მადლობა მისწერეთ მიკიტანსაო. „ვესტმინსტერ გაზეტ“-ში ამის თაობაზე შემდეგი კარიკატურა დაიბეჭდა: არყის ბოთლს ზღვის ტალღები აქეთ-იქეთ აქანებენ; სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი ჩემბერლენი კი წყალ-წაღებულივით ორივ ხელით ჩასჭიდებია ამ ბოთლს.

საფრანგეთი. ნაციონალისტების გაზეთები ირწმუნებიან, მალე დიდი ცვლილება მოხდება კომბის სამინისტროშიო. მალე კომბი მოსთხოვს მინისტრებს, ეკკლესიის სახელმწიფოსაგან განცალკევების თაობაზე კანონპროექტი წარვუდგინოთ პარლამენტსაო. სამი მინისტრი, გენერალი ანდრე, შომიე და მარიეჟუ, ამ რეფორმის წინააღმდეგნი არიან, ამიტომ ეს მინისტრები, მეტი ჩარა არ ექმნებათ, სამსახურიდან უნდა გადადგნენ. ეგ კია, ეს ცნობა არავისა სჯერა თურმე.

ავსტრო-ჰუნგრეთი. ავსტრიის სავაჭრო პალატის ნადიმზე პირველ მინისტრს კერბერს ავსტრიისა და ჰუნგრეთის პოლიტიკურ ურთიერთობაზე სიტყვა წარმოუთქვამს. მინისტრი ამტკიცებდა, თურმე, უსათუოდ საჭიროა, რომ ავსტრია და ჰუნგრეთი სამეურნეო და სავაჭრო საქმეებზე შეთანხმდნენო. ამბობენ, კერბერი ამას იქით ძლიერ ეცდება, რომ მოლაპარაკება ავსტრიისა და ჰუნგრეთის შეთანხმებაზე უსათუოდ დასრულდესო.

◆ ჰუნგრეთის კრიზისი ჯერ არ დასრულებულა და როგორც ეტყობა, არც მალე დასრულდება. იმპერატორს პირველ მინისტრად ნამყოფი სელი დაუბარებია მოსალაპარაკებლად, მაგრამ ყველანი ამბობენ, სელი არაფრის გულისათვის არ იკისრებს სამინისტროს შედგენასაო. ჰფიქრობენ, სელის შემდეგ იმპერატორი უსათუოდ გრაფ იულიუს ანდრაშის მიჰმართავსო.

ბოლგარია. დეპეშებიდან ვიცით, რომ ბოლგარიის ცნობილი დიპლომატი ნაჩევიჩი ამ ჟამად სტამბოლს იმყოფება და ცდილობს, ოსმალეთის მთავრობა და ბოლგარია როგორმე მოარიგოს. ამის თაობაზე გაზ. „ნოიე ფრაიე პრესე“ სწერს: „ნაჩევიჩი განსვენებულ სტამბულოვის პოლიტიკის მიმდევარია. ნაჩევიჩის აზრით ბოლგარია და ოსმალეთი თითონ, სხვის დაუხმარებლად, უნდა მორიგდნენ მაკედონიის საქმეზე. ეხლა ნაჩევიჩი იმ აზრით წავიდა სტამბოლს, რომ ბოლგარია დიდ გაჭირვებიდან იხსნას. ნაჩევიჩი მეტად კარგი დიპლომატია და არ წავიდოდა სტამბოლს, რომ თითონ ოსმალეთსაც მორიგება არ უნდოდეს. ბოლგარიასაც და ოსმალეთსაც ნამდვილად სწადიანთ მორიგება. ეგ არის, აქამდე ეს სახელმწიფოები უნდოთ უცქეროდნენ და მეტად მძიმე პირობებს უდებდნენ ერთმანეთს. ოსმალეთი თხოულობდა, ბოლგარიამ მაკედონიის რევოლიუციონერები დაამშვიდოს და იქაურ აჯანყებას ბოლო მოუღოსო,—თითქო მაკედონელები ბოლგარიის მთავრობის ჭკუაზე დადიოდნენ. ბოლგარიას კიდევ ის ეწადა, რომ ოსმალეთს უფრო დიდი და ფართო რეფორმები შეესრულებინა, ვიდრე ავსტრია და რუსეთი თხოულობდნენ. ბოლგარიას ეგონა, რომ ოსმალეთი, ომისა და რევოლიუციის შიშით, ადვილად დასთანხმდება ამ პირობასაო. ნაჩევიჩმა ეხლა უფრო გარკვეული პროგარამა უნდა შეიმუშავოს და ორსავ სახელმწიფოს მიაღებინოს. ვნახოთ, რას მოახერხებს ნიჭიერი დიპლომატი“.

ახალი ამბავი

—

◆ სახალხო განათლების სამინისტროს შეუმუშავებია **განსაკუთრებული წესები სახე-**

ლოსნო სასწავლებლებისათვის. შეკრებილ ცნობებით სამინისტრო დარწმუნებულა, რომ სახელოსნო სასწავლებლებში ზნეობა და წესიერება დაცემულია. აი, ამ ზნეობის აღსადგენად და წესიერების დასაცველად შეუმუშავებიათ ახალი წესები. სხვათა შორის, კავკასიის სამოსწავლოს ოლქის მზრუნველმა ეს წესები ტფილისის სახელოსნო სასწავლებელსაც გაუგზავნა.

◆ **ჭიათურიდან გვატყობინებენ**: 26 სექტემბერს წვიმებმა რკინის გზის ლიანდაგი მე-36 ვერსზე გააფუჭა, რის გამო მიმოსვლა მატარებელთა ჭიათურასა და სალიეთს შუა საღამოს 5 საათიდან შესწყდა. მატარებლების მიმოსვლა განაახლეს მეორე დღეს.

◆ დღეს, 30 სექტემბერს, ტფილისიდან ქუთაისს მიემგზავრება საქმეების განსახილველად კავკასიის სამხედრო ოლქის სასამართლოს სესია გენერალ-მაიორის ლევაშოვის თავმჯდომარეობით.

◆ ზოგიერთ ხმოსანთ განუზრახავთ წინადადება შეიტანონ საბჭოში მართლმადიდებელთა **სემინარიის შენობის** (პუშკინის ქუჩაზე) შეძენის შესახებ.

◆ შინაგან საქმეთა სამინისტროს **საბეითალო ნაწილის უფროსი** ბ-ნი პეშტიჩი ამ ჟამად ტფილისშია; დღეს, 30 სექტემბერს ბ-ნი პეშტიჩი ტფილისის გუბერნიის ბეითლებს მიიღებს.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობას ამბავი მოჰსვლია, სამსახურიდან დათხოვნილმა ლოზავეცკიმ ჯავრის ამოსაყრელად ქუჩაში რამდენიმე ხე ასჩეხა ქალაქის მე-10 ნაწილშიო. ქალაქის მოურავმა ეს ამბავი შეატყობინა პოლიცმეისტერს.

◆ რეალურ სასწავლებლის მასწავლებლის მეუღლემ კოზიულკინამ განუცხადა პოლიციას, რომ 27 სექტემბერს ვიღაც ბოროტ-განმზრახველმა მომპარა ოქროს საათი ოქროსავე ძეწკვითაო. ეჭვი განაცხადა გორის მაზრის მცხოვრებ იასონ კუდუხაშვილზე, რომელიც უკვე დააპატიმრეს. დაკარგული ნივთი ჯერ ვერ აღმოუჩენიათ.

◆ პოლიციის მე-6 ნაწილში, სუმბათოვის ქუჩაზე, ტფილისის მოქალაქის მიხეილ არუთინოვის მაღაზიაში შეპარულან ვიღაც ბოროტ-განმზრახველები და გამოუტანიათ ფულად 69 მან., ვერცხლის დიდი ქამარი 90 მან. ღირებული, 2 ოქროს ბეჭედი 6 მ. ღირებული და ერთი ოქროს ბროშკა 6 მანეთიანი. ამ ქურდობის ჩადენაში ეჭვი მიიტანეს ტფილისის მცხოვრებ გიორგი ასლანოვზე, რომელიც უკვე დააპატიმრეს.

◆ პოლიციის მე-5 ნაწილის ბოქაულმა სთხოვა გუშინ ტფილისის ქალაქის გამგეობას გაჰგზავნონ ხუროთ-მოძღვარი ივანე ბოდინის სახლის შესამოწმებლად, რომელიც ძალიან დაძველებულია.

◆ 28 სექტემბერს, კატელნი ქუჩის მოსახვევში, ტფილისის მოქალაქეს კონსტანტინე ნასყიდაშვილს რაღაცაზედაც ჩხუბი მოუვიდა შუშის მცხოვრებს ბახშო სარქისოვთან. ჩხუბის დროს ნასყიდაშვილს უძვრია დანა და სარქისოვისათვის გულში ჩაუკრავს. დამნაშავე დააპატიმრეს.

◆ 27 სექტემბერს, პოლიციის მესამე ნაწილში გამოუცხადებია ტფილისის მოქალაქეს სუმბათ ონანოვს, რომ ნერსესიევის ქუჩაზე ჩემ მაღაზიიდან ვიღაც ბოროტ-განმზრახველს გამოუტანია 103 მან. და 20 კაპ. საქონელიო.

ქუთაისის ახალი ამბები

◆ ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის მოადგილეს თავ. დ. ო. ნიჟარაძეს, რომელმაც ამას წინად დეპეშით სთხოვა საერო განათლების მინისტრს სააზნაურო სასწავლებელში მეხუთე კლასის გახსნის ნებართვა, უკანასკნელისაგან შემდეგი პასუხი მოუვიდა: სანამ სამოსწავლო ოლქის მზრუნველისაგან არ გავიგებ აზრს (ОТЗЫВЪ) ამ საგნის შესახებ, ნებართვის მიცემა არ შემიძლიანო.

◆ როგორც გავიგეთ, ქუთაისის სააზნაურო სკოლაში კურს დამთავრებულთაგან ხუთი მოწაფე მიუღიათ ტფილისის სააზნაურო სასწავლებლის მეხუთე კლასში.

◆ ქალაქის გამგეობამ დაიბეჭდვინა ქუთაისში დაარსებულ საქალაქო საზოგადო ბანკის წესდება და ამ დღეებში კიდეც გაჰგზავნის სამინისტროში დასამტკიცებლად.

◆ ამ დღეებში ქალაქის გამგეობამ დეპეშით აცნობა პროფესორს ვ. მ. პეტრიაშვილს ქუთაისში გასახსნელ ქიმიურ ლაბორატორიის საქმის მდგომარეობა და სთხოვა რამდენისამე ხნით ჩამოსვლა ლაბორატორიის შენობისათვის ადგილის ამორჩევაში დასახმარებლად. ამის პასუხად ბ-ნი პეტრიაშვილი დეპეშითვე აცნობებს ქალაქის გამგეობას: „ძლიერ მოხარული ვარ, რომ თქვენის მეცადინეობით ლაბორატორიის საქმე კეთილად დაგვირგვინდა. სამწუხაროთ, მე ეხლა ჩამოსვლა არ შემიძლია. დაწვრილებით ყველაფერს წერილით გაცნობებთ“.

◆ 24—25 სექტემბერს, ღამით, ქუთაისში საშინელი წვიმა იყო: მთელი ღამე კოკისპირულად ასხამდა: ქუჩებში რომ აღარ დატია წყალი, ეზოებში გადავარდა და სახლების ქვემოდ სართულები და სარდაფები აავსო. 25 სექტემბერს, საღამოს, რიონი ერთბაშად ისე ადიდდა, რომ ხიდების ბოძები სულ დაფარა და ხიდებს ზანზარი დააწყებინა. ვეებერთელა ძირეული ხეები ფესვიან-ტოტებიანათ მოჰქონდა წყალს და ახეთქებდა ხიდების ბოძებს, რითაც მათ კიდევ უფრო საშიშარს მდგომარეობაში აგდებდა. პოლიციის განკარგულებით ჯაჭვის ხიდზე სიარული შეწყვეტილია, რადგან წყალმა ძლიერ დააზიანა ბოძები. თუ წყალმა არ იკლო, წითელი ხიდიც უნდა დაიკეტოს. ქალაქის გამგეობას აუარებელი ხალხი აწყდება, ვიხრჩობით წყალში და რამე გვიშველეთო, მაგრამ ყველანი უნუგეშოდ ბრუნდებიან შინისკენ. ზარალი ძლიერ დიდია. ნამეტურ დაზარალდნენ რიონის მარცხენა ნაპირზე ბალახვანში მცხოვრებნი.

შინ და გარედ

14.

რუს-ლიბერალებს ხშირად ემართებათ ისეთი სკანდალი, როგორც ამ დღეებში ბ. მატიუშენსკისა და მასთან ერთად „პეტერბ. ვედომ.“-ს მოუვიდათ.

ბ. მატიუშენსკი დიდი ლიბერალია; ამას გვიმტკიცებს თუნდ მრავალი მისი ნაწერი ტფილისისა და ბაქოს გაზეთებში, სადაც ის რამდენსამე წელს მუშაობდა „მონგოლ“-ის პსევდონიმით (პსევდონიმი თვითონ გამოამჟღავნა). ახლა ბ. მატიუშენსკი „პეტერბ. ვედომ.“-ში სწერს და ისევ ლიბერალურ აზრებსა ჰქადაგობს. მაგრამ, ნათქვამია, ერთი ალილუია მღვდელსაც წასცდებაო, და ჩვენს ლიბერალსაც სწორედ ასე მოუვიდა.

სამწუხაროდ, ბ. მატიუშენსკის შეცდომა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე „ერთი ალილუია“. ეს იქიდანაც სჩანს, რომ „ნოვ. ვრ.“-მ მაშინვე გადაჰკოცნა მატიუშენსკი, მიულოცა მას და თან „პეტერბ. ვედომ.“-საც გამოფხიზლება და ნამდვილ რუს-პატრიოტებათ მონათლა ისინი. ხოლო რას ნიშნავს „ნოვ. ვრ.“-ს „ნამდვილი რუს-პატრიოტობა“ ეს ხომ ყველამ იცის. სკანდალი იმდენად დიდი გამოვიდა, რომ თვით „პეტერბ. ვედომ.“-მა შეაჩვენეს მატიუშენსკი და გამოაცხადეს, რედაქცია არ ეთანხმება მის აზრსაო. ცოტა არ იყოს, სასაცილოა, წერილის დაბეჭდვის შემდეგ მესამე თუ მეოთხე დღეს გამოაცხადო—ავტორის აზრს არ ვეთანხმებიო, მაგრამ რა გაეწყობა: რუსებისა არ იყოს—лучше поздно, чѣмъ никогда!... ხოლო თვით სკანდალი აი რაში მდგომარეობს:

„პეტერბ. ვედომ.“, როგორც იცით, მხურვალედ ესარჩლებიან რუსეთის იმპერიაში მცხოვრებ ან მოსულ არა-რუსთ. ამის გამო ეს გაზეთი ძალიან ათვალწუნებული ჰყავდა „ნოვ. ვრ.“-ს და სხვა რეაქციონურ გაზეთებსაც. მაგრამ ამ დღეებში თავ. უხტომსკის გაზეთმა (№ 257) დაბეჭდა მატუშენსკის წერილი „Пестрая опасность“, რომლით, ცოტა არ იყოს, თავის წინანდელს რწმენასა და აზრებს უღალატა, ხოლო სუვორინების გული მოიგო.

თავის წერილში ბ. მატიუშენსკი რუსებს, „დაჩაგრულ რუსებს“, გამოექომაგა და ამხედრდა არა-რუსთა წინააღმდეგ. რუსეთს ყოველ მხრიდან უცხო ხალხი შემოესიაო, სწუხს მატიუშენსკი; შორეულს აღმოსავლეთიდან ჩინელები, ახლო აღმოსავლეთიდან—სპარსელები, თათრები და სხვა მრავალი ნახევრად ველური ხალხი მოაწყდა ჩვენს სამშობლოს და რუს მუშას თუ გლეხს ლუკმას ართმევსო. მთელი რუსეთი აჭრელებულია (пестрая опасность) უცხო, არა-რუსს ხალხებითაო, რომელნიც კონკურენციას უწევენ რუსებს და ცხოვრებას უძნელებენო. საჭიროა, რეპრესიული ღონისძიებანი და რუსების დამცველი კანონებიო!..

როგორც ჰხედავთ, ლიბერალი და კოსმოპოლიტი მატიუშენსკი იმასვე ამბობს, რასაც „ნოვ. ვრემია“ ჰქადაგობს ყოველ დღე: შევავიწროვოთ არა რუსნი, თორემ გადაგვყლაპესო. „ნოვ. ვრემ.“-მ მაშინვე ნიშნი მიუგო „პეტერბ. ვედომოსტ“-ს: რაღას გვერჩოდით მაშ, როცა ჩვენ ამასვე ვამბობდით, ებრაელთა, ჩინელთა, თათართა და სხვათა და სხვათა წინააღმდეგო! განა ჩვენც ეს „пестрая опасность“ არ გვაწუხებდაო?!.

„პეტერბ. ვედ.“-მა სიჩქარით მეორე წერილი დაჰბეჭდეს და ჯვარს აცვეს მატიუშენსკი „კაცთ-მოძულეობისათვის.“ ჩვენ, რუსებმა, ასე ვიცითო, სწერს მეორე წერილის ავტორი: არა რუსთათვის არაფერს ვიმეტებთ—არც სამართლიან კანონებს, არც თანასწორ-უფლებას, არც ცოდნას, არც ფულს; ხოლო თუ მათ მწარე ოფლით, თავისავე ხელით ლუკმა პური იშოვეს, მაშინვე ყვირილს დავიწყებთ: ჰკა მაგათ, მაგ ურჯულოებსაო. ავტორი სამართლიანად შეჰნიშნავს, რომ, თუ დღეს მატიუშენსკებს უბედურ სპარსელებისა შეეშინდათ—იმ სპარსელებისა, რომელნიც მეტად მძიმე შრომით დღეში ერთ გირვანქა ბრინჯს შოულობენ, ხვალ შინაურ ებრაელებზე, პოლონელებზე, თათრებზე, და სხვა „ინოროდცებზედაც“ ამას იტყვიანო და რეპრესიულ კანონებს მოითხოვენო...

განა კიდეც არ ამბობენ და არ თხოულობენ? მატიუშენსკი ხომ პირველი არ არის რუს-ლიბერალებიდან, რომელიც „დაჩაგრულ რუსთ“ ესარჩლება და „დამჩაგვრელ ინოროდცებს“ ეომება?!

გან

რუსეთის ქრონიკა

◆ ოდესის სამაზრო სასამართლოში 20 სექტემბერს გაირჩა 29 გლეხის საქმე, რომელთაც შტუნდისტობა დაბრალდათ. ეს საქმე პირველად საერობო უფროსმა გაარჩია და დამნაშავედ იცნო ბრალდებულნი. პოლიციის ოქმი შემდეგ ბრალსა სდებდა გლეხებს: 29 აპრილს, სოფ. მარიანოვკაში, გლეხის კუჩერენკოს სახლში, თავი მოეყარათ გლეხებს და შტუნდისტების წესზე ლოცულობდნენ: ერთი ბრალდებულთაგანი სახარებას კითხულობდა, დანარჩენები ფსალმუნს ჰგალობდნენ. საერო უფროსს გლეხებმა განუცხადეს, ჩვენ ბაპტისტები ვართ და არა შტუნდისტებიო; ჩვენის წესით ვლოცულობთ და მავნე აზრებს არ ვქადაგობთო. მოწმეებმა შეამოწმეს, რომ კუჩერენკოს სახლში ხელ-

ფელეტონი

წერილები ლონდონიდან

XV

(დასასრული *)

ჩემბერლენი სატამოჟნო პროექტმა დასცა. მთელი სამინისტროც აღარ დაახანებს ხანსა და მალე გაჰყვება ჩემბერლენს. ახალი სასკოლო კანონი უსათუოდ ბოლოს მოუღებს სამინისტროს. საერთაშორისო ფინანსისტები, ანგლიკანის სარწმუნოების სამღვდელოება და სამხედრო სამინისტროს და ფლოტის იჯარადრები ბურთივით ათამაშებდნენ ამ სამინისტროს; მეტად სამარცხვინო სახელი დაიგდო სამინისტრომ. სამხრეთ-აფრიკის ომის დროს მომხდარ ამბების გამოსაძიებლად დანიშნულმა კომისიამ ისეთი საქმეები გამოააშკარავა, რომ სამინისტროს სწორედ თავი მოსჭრა და მთელ კონსერვატიულ პარტიასაც, იმის მოღვაწეებსა და პრესსასაც ძლიერ გაუტეხა სახელი. გენერალ ბულერისა, პოლ-კერისა და სხვების მოხსენებას რომ ჰკითხულობ, არა გჯერა, თუ რომელსამე სამინისტროს სახელით, ნამეტნავად ინგლისის სამინისტროს სახელით, ამდენი სიცრუე, სიყალბე და მტაცებლობა ჩაედინოთ... სადმე ოსმალეთში და იმის მსგავსს დესპოტიურ ქვეყნებში ყოვლად ძლიერ მინისტრებსა და მმართველებს შეუძლიანთ დაუსჯელად იტაცონ ხალხის სიმდიდრე და საზოგადოებას შიშის ზარი დასცენ, მაგრამ ინგლისში დამოუკიდებელი პრესსა არსებობს, ინგლისელები მოურიდებლივ იცავენ თავიანთ უფლებას... აქ ქალი თუ კაცი, მოხუცი თუ ახალგაზრდა, ცალცალკე, თუ საერთოდ, თავდადებით იცავენ თავიანთ უფლებას.

ან კი როგორ იფიქრეს ეხლანდელმა მმართველებმა, რომ ძალ-მომრეობა სამხრეთ-აფრიკაში, სახალხო სკოლის წესების დამახინჯება და სახალხო სიმდიდრის დატაცება დაუსჯელად შერჩებოდათ. მმართველებმა ვითომ არაფრად ჩააგდეს საზოგადოება, მაგრამ საზოგადოებამ ეხლა თავი აცნობა მინისტრებს; ისე აცნობა, როგორც ყოველთვის სჩვევიათ ინგლისელებს: სასკოლო კანონს მედგარ „მშვიდობიან“ წინააღმდეგობას უწევს.

წინა წერილებში არა ერთხელ გვილაპარაკნია რეაქციონურ სასკოლო კანონზე. ამ კანონის ძალით ანგლიკანთა სამღვდელოების სკოლები სახელმწიფო ხარჯით შეინახებიან, მაგრამ საზოგადოებრივ კონტროლს კი არ ექვემდებარებიან. ინგლისის ერს კონსტიტუციის ძალით სრული უფლება აქვს სახელმწიფო გადასახადებს არჩეულ კაცების შემწეობით კონტროლი გაუწიოს და ანგარიში მოითხოვოს, რაზე და როგორ იხარჯება ხალხის ფული. ინგლისის კონსტიტუციის ძირითად, უმთავრეს უფლებასაც სწორედ ეს უფლება შეადგენს. მრავალმა სარწმუნოებრივმა სექტამ, დამოუკიდებელმა ხალხმა, მთელმა ლიბერალურმა ინგლისმა გადასწყვიტა, ფაქტიურად, მოქმედებით წინააღმდეგობა გავუწიოთ ახალ სასკოლო კანონსა,—როცა სახელმწიფო და საზოგადოებრივ გადასახადებს მოჰკრებენ, სასკოლო გადასახადს ნუ გადავიხდითო. ოქსფორდსა და სხვა ქალაქებში რომ სასკოლო გადასახადის მიცემაზე უარი უთხრეს მოხელეებს, ეს ხომ მოგწერეთ კიდეც. ხარჯის მიცემაზე უარის მთქმელთა რიცხვი დღე და დღე მატულობს. ყველგან მთელს ინგლისში, ყოველ დღე თავისუფალ ეკლესიებისა, ქალაქის და სოფლის მოურავებისა, საბჭოს წევრებისა, ბანკირებისა და ვაჭრების ქონებას საჯაროდ გასასყიდად ჰნიშნავენ მოხელეები. ბევრ ადგილას ხალხმა აუქციონერები და საჯაროდ გამსყიდველნი იფრინა კიდეც. მართალია ჯერ-ჯერობით საქმე მშვიდობიანად მიდის, ჯერ სიცილსა და ოხუნჯობას სჯერდება ხალხი, მაგრამ ამ მხიარულ ოხუნჯობას მოქალაქის უფლება ამოჰფარვია. ხალხს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, მოქალაქისა და ადამიანის უფლება დაიცვას. აი რა ამბები ხდება. დეე მკითხველმა თითონ გასაჯოს.

წარსულ კვირას ლონდონს ახლო, პატარა ქალაქ ბრომლეიში, ასამდე „მშვიდობიანი“ მოწინააღმდეგე კაცი სასამართლოში დაიბარეს. ამათში სამღვდელონიც ერივნენ, ერთი მოხუცებული კაცი იყო 83 წლისა და ერთიც მოხუცებული ქალი 82 წლისა. ყველანი შეძლებული ხალხი იყვნენ. თავმჯდომარემ ჰკითხა, სასკოლო გადასახადს გადაიხდით, თუ არაო. ყველამ უარი უთხრეს და პროტესტი გამოუცხადეს, მთავრობამ მოქალაქის უფლება და სინიდისის თავისუფლება დაარღვიაო. ყველას უფლება გვაქვს, ჩვენში მოკრებილ გადასახადს კონტროლი გავუწიოთ, მთავრობამ კი ეს უფლება მოგვისპოო. ჯერი მოხუცებულ კაცზე მიდგა;—ესეც განგებ მოლახლახებულიყო სასამართლოში. თავმჯდომარემ ჰკითხა: რატომ სასკოლო გადასახადს არ იხდითო? მოხუცმა უპასუხა:

— იმიტომ რომ, ჩემის აზრით, ახალი სასკოლო კანონი ინგლისის ერის სინიდისისა და უფლების წინააღმდეგია. ხომ არ გნებავთ, რომ ისევ რომის პაპს დავემორჩილოთ? ყოველმა პატიოსანმა კაცმა მოხელეთა უკანონო მოთხოვნილებას წინააღმდეგობა უნდა გაუწიოს... და სხვ. და სხვ. მოხუცის სიტყვებმა აღტაცებაში მოიყვანა დამსწრე საზოგადოება.

— თქვენა?—ჰკითხა თავმჯდომარემ 82 წლის დედაკაცს.

— ძლიერ სამარცხვინოდ მიმაჩნია, რომ ასეთ დროულ ადამიანს სასამართლოში მიბარებთ.

— გადასახადი უნდა გაისტუმროთ...

— მარტო ერთი შილინგი მმართებს, მაგრამ არც სინიდისი, არც მოქალაქის მოვალეობა ნებას არ მაძლევენ ეს გადასახადი გავისტუმრო და არც გავისტუმრებ...

მოხუცებულ დედა-კაცს ნამდვილი ოვაცია გაუმართეს. დიახაც ღირსი იყო ოვაციისა. კანონიერება, სამართლიანობა მარტო იქა სუფევს, სადაც ყოველი კაცი, თუ დედაკაცი, თავის უფლებას მხნედა და მედგრად იცავს. როდესაც მოხუცი დედა-კაცები თუ კაცები, რომლებსაც ცალი ფეხი სამარეში უდგათ, თბილ სახლებიდან გამოდიან და თავიანთ მოქალაქობრივ უფლებას იცავენ, იცოდეთ, რომ რენეგატები და ბნელ საქმეთა ოსტატები დიდხანს ვეღარ იმეფებენ. სოლსბერი, ჩემბერლენი და ბალფური სულ არ ელოდნენ, რომ ხალხი ასეთ მედგარ წი-

---

*) იხ. „ცნ. ფურც. № 2268.

მწიფისათვისაც ლოცულობდნენ. როდესაც პოლიციის ბოქაული შევიდა სახლში და გლეხებს უბრძანა—დაიშალეთო, ერთმა მიაძახა: „რაც გინდათ, ის გვიყავით, ჩვენ-კი შეკრებასა და ლოცვას ვერ დავიშლით!“ საერობო უფროსმა არ ირწმუნა ბრალდებულთა ჩვენება—ბაპტისტები ვართო, და გლეხები შტუნდისტებად აღიარა; ხოლო შტუნდისტთა სექტა მავნებელია, რადგან პროტესტს უცხადებს მართლმადიდებლობასა და სახელმწიფოს წეს-წყობილებასაო. ამის გამო დამნაშავეთ ჯარიმა გადაუწყვიტა, თითოს სამ-სამ თუმანი. გლეხებმა ეს განაჩენი სამაზრო სასამართლოში განასაჩივრეს. სააპელაციო თხოვნაში მათ, სხვათა შორის, აღნიშნეს 1883 წლის 3 მაისის კანონი და უკანასკნელი უმაღლესი მანიფესტი, რომლებითაც რუსეთში სარწმუნოების თავისუფლება არის აღიარებულიო. სასამართლომ არ შეიწყნარა მომჩივანთა საბუთები და დაამტკიცა საერობო უფროსის განაჩენი („ნოვ. ვრემ.“).

◆ ამას წინად ოდესის გუბერნატორმა განკარგულება მოარდინა, რომ საქალაქო გამგეობამ აღარ აძლიოს ხოლმე გაზეთების რეპორტერთ ცნობები ქალაქის საქმეების შესახებ, თუ გრადონაჩალნიკი არ იქნება თანახმა. ამ განკარგულების შემდეგ ადგილობრივ გაზეთებში აღარავითარი ამბავი აღარ იბეჭდება საქალაქო დაწესებულებათა და საქმეების შესახებ. შევიწროვებულ გაზეთებს ამას წინად თხოვნა მიუციათ ოდესის ახალ გუბერნატორისათვის, რომელშიაც აღუნიშნავთ შემდეგი: საქალაქო თვით-მმართველობა თითქმის ერთად-ერთი დაწესებულებაა, რომლის შესახებ სჯა თავისუფლად შეუძლია რუსულ პრესას; ეხლა ეს მხოლოდ ოდესის გაზეთებს აეკრძალათო; ოდესის გაზეთებს არაფრით გამოუწვევიათ ეს სასჯელი, პირიქით, თავის მხრით დიდ დახმარებას უწევდნენ ქალაქის მმართველობასაო. ყველა ამის გამო სთხოვენ ახალს გუბერნატორს გააუქმოს ძველი განკარგულება. ჯერ-ჯერობით გაზეთებს ამ თხოვნაზე პასუხი არ მიუღიათ.

◆ „კიევსკ. გაზ.“ გვაცნობებს ერთ არა ჩვეულებრივ შუამდგომლობის შესახებ: ქალაქ კრემენჩუგის ვაჭართ თვით უთხოვნიათ ვაჭრობის დროის შემცირება. ვაჭრები სთხოვენ ქალაქის გამგეობას, გამოიცეს სავალდებულო დადგენილება, რომ მაღაზიებში ვაჭრობა იწყებოდეს დილის 8 საათზე და თავდებოდეს საღამოს 9 საათზეო. ამგვარივე თხოვნა ამასწინად ნოქრებს შეუტანიათ ქალაქის გამგეობაში, მაგრამ უკანასკნელს უარი უთქვამს. ვნახოთ, გასჭრის თუ არა თვით ვაჭრების თხოვნა!

◆ „ვესტნიკ იუგა“-ს სიტყვით, ჰომელის ებრაელთა აწიოკებამ ისეთი თავზარი დასცა იქაურ ებრაელთ, რომ მრავალი მათგანი ამერიკაში გადასახლებას ჰფიქრობს: ამ დღეებში უკვე 50 ოჯახი მიემგზავრება იქითკენ.

◆ ქალაქ კურგანში, 5 სექტემბერს, შემაძრწუნებელი მკვლელობა მომხდარა. ბოროტმოქმედნი თავს დასხმიან ებრაელს რეშკევიჩს, ადგილობრივ აბანოს პატრონს, გაუძარცვავთ კასსა და ამასთანავე ამოუწყვეტიათ მთელი ოჯახი. მოუკლავთ თვით რეშკევიჩი, მისი ცოლი, სამი მოზრდილი შვილი და ესეც არ უკმარიათ, ძუძუმწოვარა ბავშვისათვის ყელი გამოუჭრიათ.

თეატრი

კვირას, 28 სექტემბერს, დრამატიულ საზოგადოების დასმა გაიმეორა ერისთავის დრამა „სამშობლო“. ამ წარმოდგენასაც ისე ბევრი ხალხი დაესწრო, როგორც პირველს. თეატრი თითქმის გაჭედილი იყო. არტისტები ისევ ისინი თამაშობდნენ. ეს წარმოდგენა იაფ-ფასიანი იყო.

28 სექტემბერს, არტისტიულ საზოგადოების თეატრში ბ. ნ. კრასოვის დასმა დაიწყო რუსული წარმოდგენები. თეატრი სადღესასწაულოდ იყო განათებული. წარმოადგინეს სალოვის ხუთმოქმედებიანი სუსტი დრამა „სტეპნოი ბოგატირი“ და პირველი მოქმედება ხელოვნურად დაწერილი სამ-მოქმედებიანი როსტანის კომედიისა „რომანტიკი“.

როგორც ეტყობა, ბ. კრასოვს პირველ საღამოსვე უნდა ეჩვენებინა დამსწრეთათვის, რომ რიგიანი დასი ჰყავს. ამ საღამოს ორივე პიესაში მონაწილეობას იღებდნენ უკეთესი მსახიობნი. ამათში ზოგნი ტფილისის საზოგადოებას უნახავს წარსულ სეზონში. ახლებს შორის კრასოვს კარგი კომიკი ჰყავს შევჩენკო, რომელსაც ნიჭთან და თამაშობის უნართან ჩინებული მიმიკაცა აქვს.

დღეს, 30 სექტემბერს, პირველი ქართული წარმოდგენაა ავლაბრის ახალ თეატრში. ავლაბარს თითქმის ახალი ხანა დაუდგა. ეს უდიდესი და უძველესი ნაწილი ქალაქისა დღემდე მოკლებული იყო ყოველგვარ გონიერ გასართობს. ამ ჟამად ავლაბარში 40,000 მცხოვრებია, ე. ი. იმაზე მეტი, რაც ქუთაისშია. ამოტელა უბნის მცხოვრებთ სიშორისა გამო ძალიან უძნელდებოდათ თეატრებში სიარული. ავლაბრის მაგალითს, ეჭვი არ არის, ქალაქის სხვა ნაწილებიც მიჰბაძავენ,—დიდუბე, ვერა, ნაძალადევი და საკუთარ თეატრებს გაიჩენენ.

რადგან ახალ თეატრს ჯერ-ჯერობით საკმაო დეკორაციები არ მოეპოვება, დრამატიულ საზოგ. გამგეობამ აარჩია ადვილად წარმოსადგენი პიესა—ცაგარლისა „რაც გინახავს, ველარ ნახავ“ და ვოდევილი „დედის ერთა“· მონაწილეობას იღებენ დრამატიულ საზოგადოების დასის საუკეთესო მსახიობნი. პიესას სდგამს ბ-ნი ვ. აბაშიძე.

19 სექტემბერი სადღესასწაულო დღე იყო ფინლანდიელებისთვის. ამ დღეს 60 წელიწადი შეუსრულდა ფინლიანდიის თეატრის დამაარსებელსა და დირექტორს ფილოსოფიის დოქტორს ბერგბუმს. დიდი სამსახური მიუძღვის ამ კაცს ფინლიანდიელთა წინაშე. 30 წლის წინად ბერგბუმმა საძირკველი ჩაუყარა ფინლანდიის თეატრს და მას შემდეგ მთელი თავისი ძალ-ღონე ამ თეატრის გაძლიერებასა და გაღონიერებას მოანდომა. ბერგბუმი ნიჭიერი დრამატურგიც არის. იმის მეოხებით ბევრმა ახალგაზდა ნიჭმა აიდგა ფეხი და გაამდიდრა როგორც-სამშობლო ლიტერატურა, ისე სცენა. დღესასწაულს თვით იუბილიარი ვერ დაესწრო, რადგან ამ ჟამად იგი საზღვარ-გარედ არის სამკურნალოდ. საიუბილეო წარმოდგენას სადღესასწაულო ელფერი ედო. ჰელსინგფორსის თეატრი სავსე იყო ყოველ კუთხიდან მოსულ ხალხით. წარმოდგენაში მონაწილეობა მიიღეს: ფილარმონიულმა ორკესტრმა, რომელსაც ხელმძღვანელობდა ცნობილი კომპოზიტორი კაიანუსი, ხორომ და თეატრის დასმა. როდესაც ფარდა აიხადა, შუა სცენაზე გამოჩნდა იუბილიარის ბიუსტი, დაფნის გვირგვინით შემკობილი. ერთმა არტისტმა წაიკითხა პოეტური პროლოგი, ამ შემთხვევისათვის დაწერილი პოეტის ერკოს მიერ. თეატრში იყო ცნობილი მომღერალი ალმა ფოსტრემი, რომელმაც გვირგვინით შეამკო ბიუსტი. წარმოდგენის შემდეგ არტისტებმა, ორკესტრმა და საზოგადოებამ ერთად იმღერეს საერო ჰიმნი „ჩვენი მხარე“. ყველანი ფეხზე იდგნენ.

სასამართლო

~~8 ოქტომბრისათვის ტფილისის ოლქის სასამართლოში განსახილველად დანიშნულია საქმე ამიერ-კავკასიის რკინის გზის სახელოსნოების მუშებისა: ნორაკისა, ბოტუაშვილისა, ბონდარენკოსი, ივანე მანჯგალაძისა, სილივან სტურუასი, კახაძისა, პავლე სტურუასი, სანაქოევისა და ფედორენკოსი, რომელთაც ამა 1903 წლის 16 ივნისის უწესოებაში მონაწილეობის მიღება და ყაზახებისათვის წინააღმდეგობის გაწევა ჰბრალდებათ.~~

გუშინ, 29 სექტემბერს, ტფილისის ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე ტფილისის მცხოვრების ნიკიტა არტემოვისა, რომელსაც იჭვით თავის ცოლის ეკატერინეს მოკვლის განზრახვა ჰბრალდებოდა. ლაპარაკის დროს ნიკიტას გული მოსვლია, აუღია ნაჯახი და რამდენჯერმე დაურტყამს. სასამართლომ ბრალდებული დამნაშავედ იცნო და გადაუწყვიტა ყოველისავე პირადად თუ მდგომარეობით მოპოებულ უფლება-უპირატესობის ჩამორთმევა და პატიმართა გამასწორებელ რაზმში 1 წლითა და 6 თვით გაგზავნა.

23 სექტემბერს მომრიგებელმა მოსამართლემ გაარჩია საქმე მოქალაქეთა გამგეობის მდივნად ნამყოფის ამირან ჯილაევისა, რომელიც უჩიოდა ხოსროევს, 10 ივნისს ერთ საქმის გარჩევის დროს წამოსთქვა: „მე უკვე დავამტკიცე, რომ ჯილაევი მექრთამეაო“. მომრიგებელმა მოსამართლემ ხოსროევი დამნაშავედ იცნო და გადუწყვიტა ჯარიმა 5 მან. ან ერთი დღე-ღამე დაპატიმრება,

დაბა-სოფლები

სოფ. ახალ-გავაზი (კახეთი). 14 აგვისტოს დილით ხმა გავრცელდა ს. ახალ-გავაზში, რომ დათია თანდილაშვილი მოუკლავთო. დათია თანდილაშვილი გლეხი-კაცის დაგვარად შეძლებულ კაცთა რიცხვში ითვლებოდა. მართლაც, ამ დღეს დილით, ისევ ღამე, თოფის ხმაზე და დაჭრილის ყვირილზე მისულ მეზობლებს ენახათ თანდილაშვილი საკუთარ ნესვ-ყარფუზის ბაღში ქოხის ქვეშ მომაკვდავი. მკვლელს თოფი დაეცა მუცელში მძინარესათვის და ნაწლევები გადმოყრევინებინა. მეზობლებს ეკითხნათ, ვინ დაგცა თოფიო, მაგრამ მძინარეს ვერ გაეგო, თუმცა თოფი ახლოდან იყო ნასროლი. ეს ბაღი ახლო ყოფილა სოფელზე და თვით თანდილაშვილის სახლთან ერთის ვერსის მანძილზე. შეატყობინეს ყვარელის ბოქაულს, რომელიც 16 აგვისტოს მოვიდა, ნახა მოკლული და ის იყო უიმედოდ თავი გაიქნია მკვლელის პოვნაზე, რომ გადმოყრილ ნაწლევებში შენიშნა მჭვარი. აიღო, გადაბრუნ-გადმოაბრუნა, შეატყო, რომ საფანტი, რომლითაც გატენილი ყოფილა თოფი, ამ მჭვარში ყოფილა გამოხვეული და თვით ეს მჭვარი ჭრელი ხელსახოცის ნახევია. გამოიკითხა ვითარება მოკლულისა, მისი ოჯახური გარემოება. აღმოჩნდა, რომ თანდილაშვილს ამ დღეებში ჰქონია ათი ათ-თუმნიანი, რომლის ხაზინაში შესანახად შეტანა განუზრახავს, რომ თანდილაშვილის ახალგაზდა ცოლი მარო დაახლოვებულია ნიკოლოზ ბეროშვილთან და ქმარს—მოკლულს—ამ დაახლოვებაზე ეჭვი ჰქონია, რომ მაროს სამარიამობოთ წასვლა უნდოდა თეთრ-გიორგს*) უნდოდა გაჰყოლოდა ნიკოლოზ ბეროშვილს, რომელიც თავის ცოლშვილით მიდიოდა სალოცავად თეთრ-გიორგს, და ქმარმა ნება არ მისცა, რომ მარო ქვეშაგებში ჩაწვა, ვითომდა წმ. გიორგისაგან ავად გახდა, ხატმა უმიზეზა, რა-კი დაპირებული იყო და ველარ მიდის სალოცავად. ყველა ამით შეიარაღებულმა ბოქაულმა გაჩხრიკა სახლი თანდილაშვილისა და ნიკოლოზ ბეროშვი-

---

*) წმ. გიორგის ეკკლესიაა აწყურშია, სადაც მარიამობას 15 აგვისტოს, შობას დ- აღდგომას თავს იყრის მრავალი მლოცავი.

ნაალმდეგობას გაუწევდა ახალ კანონს. მინისტრებმა ამით დაამტკიცეს, რომ ვერც ინგლისის ხალხს იცნობდნენ რიგზე, ვერც გონების თვალი უჭრიდათ შორსა. მეფემ უფრო მეტი შორს-მხედველობა გამოიჩინა ამ საქმეში. მეფე აფრთხილებდა თავის მინისტრებს: „ვინც სასკოლო კანონს ეწინააღმდეგება, იცოდეთ, რომ გულწრფელი, დარწმუნებული ადამიანია. კარგადა აქვთ შეგნებული რაც უნდათ, საქმეს ბეჯითად ეკიდებიან და კიდეც გაიტანენ თავისას.“

მაგრამ მინისტრებმა არ დაუჯერეს ჭკვიან მეფეს. აკი ეხლა თითონვე უნდა აგონ პასუხი თავიანთ უჭკუობისა და ქარაფშუტობისათვის! იქნება სამინისტრომ კიდევ ხანი გასძლოს, მაგრამ ზნეობრივად ეხლავე მკვდარია. ომის კომისიისაგან გამოაშკარავებული ამბები, სასკოლო კანონის წინააღმდეგ ბრძოლა, ჩემბერლენის სატამოჟნო პროექტის დამხობა, მილიონ ტრედ-უნიონისტისა და კოოპერატორის დადგენილება—ყველა ეს სასიკვდილო განაჩენია ეხლანდელ მთავრობისათვის. ყველა ამას ისიც ზედ დაერთო, რომ მთავრობა მეტად დუნედ, მშიშრულად იქცევა მაკედონიის საქმეში და ოსმალეთის ქრისტიანებს გულ-გრილად ეკიდება, არა ჰპატრონობს. 1878 წელს ბერლინში მომხდარ კონგრესის დადგენილებით კი ინგლისი ოსმალეთის ქრისტიან ერთა ოფიციალურ მფარველადა და დამცველადაა ცნობილი. თავის დროზე ეს ამბავი დიზრაელმა და სოლსბერიმ დიდის რიხითა და ამაყობით აუწყეს განათლებულ ქვეყნიერობას. ინგლისის საზოგადოება, იმედია, მალე ამის ანგარიშსაც მოსთხოვს მთავრობას. ეხლაც-კი გაისმის ჩივილი, რომ სამინისტრო თავის გაჩუმებით უიარაღო, მშვიდობიან მაკედონელ ხალხის გაწყვეტას ხელს უწყობსო. მაგრამ ჯერ ესეთი ჩივილი აქა-იქ კანტი-კუნტად გაისმის. მაკედონელთა გამოსარჩლება ჯერ არც ერთს დიდ პოლიტიკურ მოღვაწეს არ უდვია თავსა. ჩვენ თაობაში ვიქტორ ჰიუგოსთანა და გლადსტონისთანა კაცი არ აღმოჩნდა; ბაირონსა და გარიბალდის ხომ აღარ ვამბობთ. ბაირონი და გარიბალდი იარაღით იცავდნენ მტარვალებისაგან დაჩაგრულ ხალხსა. 25 წლის წინად, სანამ რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე მე-II ომს გამოუცხადებდა ოსმალეთს და ბოლგარიას გაანთავისუფლებდა, თითონ რუსეთის საზოგადოებამაც ახალგაზდა კაცები ასობით მიაშველა სერბებსა და ბოლგარებს; ესენიც წავიდნენ და ბოლგარ და სერბ პატრიოტების გვერდზე იბრძოდნენ... ეხლა?—მაკედონიაში მთელი სოფლები გაძარცვეს და დასწვეს; ხალხი გასწყვიტეს... დედაკაცებს ჯერ აუპატიურებენ და მერე ჰკლავენ; ბავშვებს ცეცხლ-წაკიდებულ სახლებში ისვრიან.... ალბანელებს ორას მაკედონელისათვის თავი მოუკვეთიათ იმათ გაუპატიურებულ ცოლებისა და დედების თვალ-წინა—აი, ასეთ ამბებს იუწყებიან დეპეშათა სააგენტოები და გაზეთების კორესპონდენტები. მთელი ევროპა გულ-გრილად ჰკითხულობს ყოველ დღე ამ ამბებს და ხმასაც არ იღებს. არც ჯავრი მოსდის, არც თავზარი ეცემა, არც გულწრფელ თანაგრძნობას უცხადებს მხეცობისა და ძალ-მომრეობის ურიცხვ მსხვერპლსა. იქმნება ჩვენს დროში კაცთ-მოყვარეობის უმაღლესი იდეალები დაივიწყეს? იქმნება მოყვასთა სიყვარულისა და სიბრალულის გრძნობა გაჰქრა? სპენსერი ამბობს, თანამედროვე ინგლისს გრძნობა დაუჩლუნგდა და გული გაუქვავდაო. იქმნება სპენსერის სიტყვები ევროპის ყველა ხალხს უდგებოდეს?

ჩვენის პაპების დროის თაობამ საქმით დახმარება დაუწია აჯანყებულ საბერძნეთს. აღფრთოვნებულ პოეტების ლანდორისა და ბაირონის—მეტადრე ბაირონის—მაგალითმა კეთილ-შობილი ხალხი გაიტაცა, ბარბაროსულ ოსმალეთისაგან დამონავებულ და შეწუხებულ საბერძნეთის განსათავისუფლებლად ბრძოლა დააწყებინა... აკი საბერძნეთი განთავისუფლდა კიდეც! ჩვენის მამების დროის თაობაში გმირი ახალგაზდობა ათასობით გამოდიოდა, იტალიის ეროვნულ თავისუფლებისათვისა და შეერთებულ შტატებში მონობის მოსასპობად იბრძოდა. გარიბალდი და ლინკოლნის გენერლები მარტო თავიანთ თანამემამულეებს როდი მიუძღოდნენ, იმათ თანამებრძოლთა რიგში ევროპის ყველა ერის საუკეთესო ახალგაზრდობა ერია. ჩვენს დროში? პირდაპირ უნდა გამოვტყდე, რომ გულ-გრილობამა და ეგოისტურმა ანგარიშიანობამ გააუფერულა, გაჰყინა და გააქვავა ჩვენი გული და სინიდისი. არც ტრანსვაალში ათასობით დაღუპულ ბავშთა ტირილმა, არც ოსმალეთში ქურთებისაგანა და დაქირავებულ ჯალათებისაგან დახოცილ სომხების კვნესამ, არც მაკედონიაში წამებულ ხალხის ვაებამ არა თუ იარაღი არ აგვაღებინა ხელში და მებრძოლთა გვერდით არ ამოგვიყენა, ჯალათებიც კი არ შეგვაძულა და იმათი უბრალო, უდანაშაულო მსხვერპლნიც კი არ შეგვაბრალა და არ შეგვაყვარა.

რა მიზეზია? ჩვენის დროის ევროპამ რად დაჰკარგა დაჩაგრულთამდი თანაგრძნობა? ეს თანაგრძნობა ბაირონისა, გარიბალდისა და ლინკოლნის დროის საუკეთესო კაცებს ამოძრავებდა და ამოქმედებდა. თითქო ჩვენ უფრო მდიდრებიცა ვართ, უფრო განათლებულებიც და შრომის იარაღებიც უფრო გაუმჯობესებული გვაქვს! ურიცხვმა ყოველდღიურმა პრესამ, ფოსტა-ტელეგრაფმა, გემებისა და რკინის გზების სწრაფმა მიმოსვლამ ევროპის ერები მჭიდროდ დაუკავშირა ერთმანერთს ვაჭრობით, განათლებით და კულტურით; თითქო ეხლა უფრო მეტის სიყვარულითა და თანაგრძნობით უნდა ვეკიდებოდეთ მტარვალობის წამებულ და დატანჯულ მსხვერპლებს. უფრო უნდა ვეხმარებოდეთ დაჩაგრულ ხალხსა. ნამდვილად კი სულ სხვანაირად ვიქცევით; ყველანი გულ-გრილად ვკითხულობთ, რომ ოსმალები მაკედონიასა და თითქმის მთელ აღმოსავლეთ ბალკანეთში ათასს მხეცობასა და თავზარ დამცემ ამბებს სჩადიანო.

რადაა ასე? ზემოხსენებულ ოთხმოცის წლის ბერიკაცსა და მოხუცებულ დედაკაცს სულ სხვა აღტაცება და სული აღფრთოვანებს; იქნება ჩვენმა თაობამ დაჰკარგა ეს აღტაცება და სული?.

ლონდონელი

ლის. უკანასკნელს აღმოაჩნდა ის ჭრელი ხელსახოცი, რომლის ნაჭერი მოკლულის ნაწლევებში იყო. გასინჯეს და ხელსახოცში მოხეულმა ნაჭერმა თავისი ადგილი დაიჭირა; ყვავილი ყვავილთან მოვიდა, ხაზი—ხაზთან. თვით ბეროშვილს ხელზე ერთი თითი გაფუჭებული აღმოაჩნდა. ჯერ უარზე იდგა ბეროშვილი, მაგრამ ბოქაულმა სხვა-და-სხვა კითხვებით, თოფის გაჩხრეკით და სხვა-და-სხვა პირების ისევ ბეროშვილთან გამოკითხვით დაარწმუნა ბეროშვილი, რომ დანაშაულის აღიარება ურჩევნია. ბეროშვილმა სთქვა: 13 აგვისტოს, საღამოზე, დუქნის წინ ვიდექი და თანდილაშვილის ცოლმა დამიძახა: ჩემმა ქმარმა გთხოვა, მე ხვალ ყარფუზი უნდა წავიღო ალაზანს გაღმა და ბაღს შენ უყარაულეო; თოფი უნდა წაიღო საყარაულოდ, წადი, შენ თოფი გადმოიტანე, იქნება ჩემი ქმარიც მოვიდეს და თვითონ გეტყვის, რაც უნდაო. წავედი, თოფი გავტენე, წამოვიდე, მოვედი, მარო მარტო იყო. გადმოიღო ყარფუზი, გასჭრა, მომაწოდა ერთი ნაჭერი, თან არაყი დაასხა ბოთლიდან სტაქანში, ჯერ თითონ დალია, მერე მე დამისხა და დამალევინა. დამიწყო ლაპარაკი და თან თითო სტაქან არაყს მასმევდა ისე, რომ ბოთლი გამომაცლევინა. მე შევქეიფიანდი. მაშინ ჩამომიგდო ლაპარაკი, იმიტომ მოგგიყვანე, ამაღამ ჩემი ქმარი უნდა მოჰკლაო. მე უარი ვუთხარი. წინათაც უთქვამს ჩემთვის, ერთი ლეკი მოისყიდე ვინმე, ჩემი ქმარი მოჰკლასო, მაგრამ ყოველთვის უარს ვეუბნებოდი. დამიწყო დაცინვა: მშიშარა ხარ, ვერ გაგიბედნია, თუ გეშინიან, მე გამოგყვები, ჯერ მე მივალ, ვნახავ, თუ არა სძინავს, ვეტყვი შინ ყაჩაღები შემომიცვივდნენ და გამოვიქეცი, შენ სიმინდში დაიმალე და თუ სძინავს,—მოვალ და შეგატყობინებ, თოფი დაუცი და მოჰკალიო. წავედით ორივენი. მე დავიმალე. მარო მივიდა, დაბრუნდა, მითხრა სძინავსო; მივედი—თოფი დავეცი. თოფიც გამისქდა, თითი გამიფუჭდა და გამოვიქეცი. ისე ახლო მივედი, თითქმის თოფით ვაწვდებოდი. მარო არც წინად გამოტყდა და არც ბეროშვილისაგან აღიარების შემდეგ. ის სუყველაფერზე უარს ამბობს, გარდა თეთრ-გიორგში წასვლისა. უნდა აღვნიშნო, რომ სოფლის რომანში ხშირად, ასე თუ ისე, თეთრ-გიორგს სალოცავად წასვლა ურევია. ამის მიზეზებსა და საბუთებზე შემდეგ მოველაპარაკები მკითხველს.

ნადიკვრელი

წერილი რედაქციის მიმართ

რამდენიმე დღეა, დავბრუნდი ქუთაისს და მხოლოდ ეხლა მომეცა შემთხვევა წამეკითხა არტისტ დავ. ჩარკვიანის წერილი, „ცნობის ფურცლის“ მე-2208 №-ში დასტამბული. თუმცა ეს ჩემი წერილი ძლიერ დაგვიანებულია, მაგრამ ჩემს თავს მოვალედ ვსთვლი სინამდვილის აღსადგენად გთხოვოთ, ბ-ნო რედაქტორო, დასტამბოთ იგი რომელსამე ახლო ნომერში.

ვინაიდან ბ-ნ ჩარკვიანის წერილის შემდეგ გავიდა თვენახევარი, და შეიძლება მკითხველს არ გაახსენდეს იმ წერილის შინაარსი, ამისათვის საჭიროდ ვრაცხ განვიმეორო უმთავრესი ადგილი იმის წერილისა. აი რას სწერს ბ-ნი არტისტი დ. ჩარკვიანი:

„22 ივნისს ამ (ქუთაისის იგულისხმეთ) თეატრში საქველმოქმედო წარმოდგენა გაიმართა. ბილეთები ხელზედ იყიდებოდა, ამიტომ წარმოდგენის დღეს, დილის $11\frac{1}{2}$ საათიდან დაწყებული, გამგე ქალები ისხდნენ კასსაში და ჰყიდდნენ ბილეთებს. საღამოს $8\frac{1}{2}$ საათს გაჩნდა კასსაში ქ-ნი ვლადიმიროვისა, როგორც კასსირი, და მოითხოვა, რომ ჩაებარებინათ კასსა. გამგემ უთხრა: „თეატრი აღებული გვაქვს ბ-ნ პილაძისაგან (ქალაქის გამგეობის წევრი, რომელსაც თეატრი აბარია) *), მოწერილობა გვაქვს აგრეთვე გუბერნატორის კანცელარიისაგან, რომ ყველა ანგარიში ამ წარმოდგენისა ჩავაბაროთ გუბერნატორის მიერ დანიშნულს მოხელეს. თქვენ ვერც გიცნობთ და, თუ კასსირი ბრძანდებოდით, ადრევე უნდა მოგეთხოვათ კასსის ჩაბარება, ეხლა კი გვიან არისო“. ამ სიტყვების შემდეგ ქ-ნმა ვლადიმიროვისამ უბრძანა თეატრის მოსამსახურეებს: „ხალხი არ შეუშვათ თეატრში და სცენაზე ფარდა არ ასწიოთო“...

ბ-ნმა დ. ჩარკვიანმა აიღო თეატრი ივნისის 22 რიცხვისათვის ბ-ნ პილაძისაგან და უნდოდა გაემართნა წარმოდგენა თავის ძმის სასარგებლოდ, რომელმაც წელს გიმნაზია დაამთავრა, მაგრამ ნება ვერ მიიღო, როგორც გადმომცა თითონ დ. ჩარკვიანმა, ვითომ იმ მიზეზით, რომ მარტო ერთი მოწაფის სასარგებლოდ არ შეიძლებაო. რამდენისამე დღის შემდეგ მიიღო წარმოდგენის გამართვის ნება „დ. ჩარკვიანის ოჯახობის“ სასარგებლოდ. წარმოიდგინეთ, დ. ჩარკვიანი საქველმოქმედო წარმოდგენას ჰმართავს თავისისავე ოჯახის სასარგებლოდ, ესე იგი თავის სასარგებლოდ, მაშასადამე, შეეძლო ყოველთვის გაემართა და არც დასჭირდებოდა გუბერნატორის განსაკუთრებული ნებართვა, მაგრამ, ალბად, საჭირო იყო, რომ წარმოდგენას „საქველმოქმედო“ რქმეოდა. როდესაც აფიშები უკვე დაიბეჭდა, იგი მოვიდა ჩემთან და ბილეთები მომთხოვა. მე ვუპასუხე, რომ ბილეთების ხელზედ გაყიდვა აკრძალულია და ბილეთები თეატრის კასსირმა უნდა გაჰყიდოსო-მეთქი. ეს გარემოება ბ-ნ ჩარკვიანმა კარგად იცის, ვინაიდან რვა წელიწადი მოღვაწეობს ქართულ სცენის გაუმჯობესებისათვის ქუთაისში. იმან მიპასუხა, რომ წარმოდგენის გამგეთ მოწვეული მყავს ალავიძის ასული, რომელმაც აღეთქვა ნაცნობ შორის ბილეთების გასაღება, წარმოდგენის დღემდის ბილეთები ექნება ალავიძის ასულს და იმ დღეს კი გარდაეცემა თეატრის კასსირსო. ეს პირობა რომ არ დაედვა, შეიძლება ბილეთები არც მიმეცა, ვინაიდან არსებობს გადაწყვეტილება საბჭოსი, რომ კასსაში თეატრის მუდმივი კასსირი უნდა ჰყიდდეს ბილეთებსაო. წარმოდგენის დღეს, 22 ივნისს, მივედი თეატრში დილის თერთმეტ საათზედ, და კასსაში დამხვდა ჩვენის კასსირის მაგიერ ალავიძის ასული—გამგე წარმოდგენისა. იქვე თეატრში ვნახე ჩვენი კასსირი, ქ-ნი ვლადიმიროვი, რომელმაც განმიცხადა, ბილეთები და ანგარიში არ ჩამაბარესო. რადგან ქ-ნი ვლადიმიროვისა და ბ-ნი ჩარკვიანი კარგა ხანია ერთმანეთთან მომდურავად იყვნენ რაღაც უსიამოვნების გამო, მე ძალა არ დავატანე, რომ კასსა ჩაებარებინათ ქ-ნ ვლადიმიროვისათვის. უკანასკნელ შემთხვევაში დ. ჩარკვიანს შეიძლება საყვედური ეთქვა და დაებრალებინა კასსირისათვის მცირე შემოსავალი იმ ღამის წარმოდგენისა. მაშინ ვუთხარ კასსირს, ქ-ნ ვლადიმიროვისას, რომ საღამოს მაინც მისულიყო კასსაში, თეატრის ფული აეღო და სრული ანგარიში ჩაებარებინა გუბერნატორის მოხელისათვის, რადგან წარმოდგენა საქველ-მოქმედო იყო. უნდა მოგახსენოთ, რომ არსებობს თეატრის კომისიის დადგენილება, რომლის ძალითაც თეატრის გაქირავების დროს უნდა გამოერთვას მქირავებელს ფული, მაგრამ ხშირად ქუთათურ მსახიობებს ვაძლევთ შეღავათს, და არც თეატრის ქირას და არც ბეს წინდაწინ არ ვართმევთ, რადგან კასსაში ჩვენი კასსირი ჰყიდის ბილეთებს და ქალაქი უზრუნველ ყოფილია ქირის დაკარგვისაგან. კომისიისავე გადაწყვეტილებაა, თუ კასსაში შემოსული არ არის იმდენი მაინც, რომ დააკმაყოფილოს თეატრის ქირა და სხვა წვრილი ხარჯები, ფარდა სცენაზე ისე არ აიწევა. ეს წესი ბ-ნმა ჩარკვიანმა კარგად უნდა იცოდეს, რადგან იგი რვა წელიწადი ქუთაისის მსახიობთა გუნდს ეკუთვნის და გარეშე არ არის ჩვენის თეატრისთვის.

როგორც მეორე დღეს, 23 ივნისს, გავიგე, კასსირ ქ-ნ ვლადიმიროვასა და ქ-ნ ალავიძის შორის უსიამოვნობა მომხდარა. საქმე ყოფილიყო ამნაირად: საღამოზე კასსირი მისულიყო, მაგრამ კასსა მაინც არ გარდაეცათ. ჩვენს კასსირს მოესურვებინა გაეგო, რამდენი იყო შემოსავალი და ეყოფოდა თუ არა აუცილებელ ხარჯის დასაფარავად, მაგრამ იმისი სურვილი არ დაუკმაყოფილებია ქ-ნ ალავიძეს. რამდენისამე ხნის შემდეგ კასსირს დაუბარებია სცენიდან მაშინისტი და უთქვამს, სანამ თეატრის ქირა არ მოგვცენ, ფარდა არ ასწიოთ, თორემ ქალაქის წინაშე პასუხის მგებელი იქნებიო. მაშინისტს ეს გარემოება მოუხსენებია ბ-ნ ჩარკვიანისათვის. ბ-ნი ჩარკვიანი ძრიელ გაჯავრებულა და უთქვამს, აბა ვნახოთ, ვინ გამიბედავს, რომ ფარდას არ ასწევსო. შემდეგ მაშინისტი მისულა კასსაში ამბის გასაგებად და ქ-ნ ალავიძეს უპასუხნია, ქალაქი თავისას მიიღებს და ამაში პასუხს მე ვაგებო. ამ სიტყვების შემდეგ, ფარდაც აუწევიათ. მართალია წარმოდგენა გვიან დაიწყეს, მაგრამ ამის მიზეზი კასსირი კი არ იყო, არამედ ცოტა შამოსავალი: უცდიდნენ, იქნება კიდევ მოემატოსო.

ძალით ხალხი არც მაშინ და არც სხუმის თეატრში არ შესულა და ყოველთვის კარები ღია არის წარმოდგენის დღეს. კიდევ შეიძლებოდა ეთქვა ბ-ნ ჩარკვიანს, რომ ქ-ნმა ვლადიმიროვისამ უბრძანა მოსამსახურეებს ფარდა არ ასწიოთო და რაც შეეხება იმას, ვითომ ებრძანებინოს, ხალხი თეატრში არ შემოუშვათო და ბოლოს მოთმინებიდან გამოსული ხალხი ძალით შესულიყო თეატრში, ეს კი მტკნარი სიცრუვე უნდა იყოს, თუ ნამეტნავათ არ გაგვიწყრება ბ-ნი ჩარკვიანი. აბა ერთ მაგალითზე მაინც მიგვითითოს ბ. არტისტმა, რომ მაგისთანა შემთხვევას ჰქონდეს ადგილი. პირველ მოქმედების შემდეგ კასსაში მისულა გუბერნატორის მოხელე ბ-ნი ზუბოვი და მოუთხოვნია ანგარიში ჩაებარებინათ, მაგრამ წარმოდგენის გამგეს უარი უთქვამს, რის შემდეგ ბ-ნ ზუბოვს მოუწვევია პოლიციის ბოქაული, შეუყენებია ოქმი, რომ ანგარიში არ ჩააბარეს, და წასულა. შემდეგ მოუთხოვნია თეატრის კასსირსაც ქირა, მაგრამ გამგეს უბრძანებია, მე კასსა დ. ჩარკვიანს უნდა ჩავაბარო და სხვას არავის ვიცნობო. მაშინ კასსირს მიუმართავს გუბერნატორის და პოლიციის მოხელეებისათვის და იმათის დახმარებით მიუღია ქალაქის ხვედრი ოცდა თხუთმეტი მანათი. ამ ნაირად იყო, ჩემო მკითხველო, საქმე.

დასასრულ ბ. დ. ჩარკვიანი თავის წერილში გვისაყვედურებს თეატრის კომისიის წევრებს, რომ კასსირმა თავის მოვალეობას გადააჭარბაო, ჩვენი ფულის გამგეობასაც კისრულობს და თითონვე ასწორებს ხარჯსო. მაგალითად, დაიბარებს პარიკმახერს, თერძს, მუსიკას, რეკვიზიტორს, მიაქვს თითონ თეატრის ქირა, დასაკიდებელის ქირა და თავის გასამრჯელო კასსირისა და თავისისავე ხელით სწერს ყველა ამ ხარჯებს. როგორც ზემოდ მოგახსენეთ, როდესაც საქველ-მოქედო წარმოდგენა იმართება, მაშინ ყოველივე ხარჯი უნდა დაიხუროს და სრული ანგარიში შემოსავალ-გასავლისა უნდა ჩაბარდეს გუბერნატორის მოხელეს. ამისათვის კასსირი ადგენს ანგარიშს, რომელიმე წევრი კომისიისა ასწორებს და ხელს აწერს და შემდეგ გადაეცემა გუბერნატორის მოხელეს ანგარიში და წმინდა შემოსავალი. უწინ ამისთანა შემთხვევის დროს წარმოდგენის გამგენი მადლობას აცხადებდნენ დახმარებისათვის, მხოლოდ ბ-ნ დ. ჩარკვიანს არ მოსწონს ხარჯების გასტუმრება და რა მიზეზია, თითონ იმას ეცოდინება. ბ-ნმა ჩარკვიანმა ძლიერ კარგად იცის, რომ კასსირის გასამრჯელო შედის თეატრის ქირაში და კასსირი ცალკე თეატრის მქირავებლისაგან არაფერს არ იღებს. არ ვიცი, რათ დასჭირდა ბ-ნ ჩარკვიანს სინამდვილის შეცვლა. გარდა ამისა 22 ივნისს ქ-ნ ვლადიმიროვას არავითარი ხარჯები არ გაუსტუმრებია, გარდა თეატრის ქირის აღებისა.

სათეატრო კომისიის წევრი

ივ. ის. პურადაშვილი

*) ბ-ნი პილაძე ქალაქის გამგეობის წევრი კი არა, თეატრის გამგე კომისიისაა, რომელშიაც ითვლება სამი წევრი, საბჭოს მიერ არჩეული. ი. პ.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

29 სექტემბერი

პეტერბურგი. 18 სექტემბერს კავკავიდან მიღებულ დეპეშის თანახმად შემდეგს იუწყებიან ოფიციალურად: 17 სექტემბერს, საღამოს 10 საათზე, ბესლანს ახლო ოსეთის დივიზიონის ცხენის ჯოგი სძოვდა; ჯოგს 4 კაცი უგდებდა ყურსა; 20 მთიელი მიუახლოვდა ჯოგსა და უცებ მწყემს ოსებს დაეცა, 2 თოფი წაართოთ და სროლა დაუწყიათ, მაგრამ ოსებმაც თოფი ესროლეს და მთიელები გააქციეს; მთიელებმა ერთის ცხენის მოტაცება მაინც მოასწრეს.

სოფია. კომისიას ხილმი-ფაშის თავმჯდომარეობით დანგრეულ სახლების განახლებაზე და გაქცეულთა დაბრუნებაზე აქვს მსჯელობა. მაკედონელები არავითარ მნიშვნელობას არ აძლევენ კომისიის მოქმედებას: ეს კომისია ოსმალეთის მთავრობის ნებას ასრულებსო.

სოფია. მონასტირის ვილაეტში რაზმები გაჩნდნენ; ბევრგან დიდი შეტაკება მოხდა. ამ ამბებმა ილდიზ-კიოსკი შეაწუხეს. სამხედრო სამინისტრომ განკარგულება მოსცინა, ჩატალჯი მალე გაამაგრეთ და კიუსტენდილსა და ხარმანლის ახლო საზღვარზე ჯარი შეკრიბეთო.

ნიჟნი-ნოვგოროდი. არზამასში მორიგი სამაზრო საერობო კრება არ შესდგა, რადგან თავმჯდომარე, თავად-აზნაურობის წინამძღოლი, არ მოვიდა და წინამძღოლის კანდიდატიც არავინ იცის სად წავიდა. ხმოსნები დაიშალნენ.

ტიხვინი. საერობო კრებამ დაადგინა: ყველა წოდებამ აწინანდებურად ერთ საარჩევნო კრებაზე უნდა აირჩიონ ხმოსნები; ქალებსა და იმ კაცებს, რომლებიც კრებაზე ვერ დაესწრებიან, ნება უნდა მიეცესთ, თავიანთ მაგივრად არჩევანში მონაწილეობის მიღება სხვებს მიანდონ რწმუნების წერილით.

ხარკოვი. სამაზრო საერობო კრებამ გამოსთქვა სურვილი სამსახურში ექიმი ქალები იყოლიონ.

ბერდიანსკი. ერობამ საქიმო ნაწილში მოსამსახურეთა დაზღვევა შემოიღო.

კონსტანტინეპოლი. რეფორმათა პროექტით მაკედონიაში უნდა დაწესდეს 8 კომისია რუსეთისა და ავსტრო-ჰუნგრეთის კონსულების ზედამხედველობით. კომისიამ უნდა იზრუნოს ახალ რეფორმების განხორციელებისა, გარდახვეწილთა სამშობლოში დაბრუნებისა და იმათთვის საქონლისა, ხორბლისა და საზრდოს შეძენისათვის.

პარიზი. კერძო ცნობები მოვიდა, რუსეთის ფლოტი მესამე დღეა, რაც ჩიფუდან გამგზავრებულა პორტ-არტურს და თან დაბეჭდილი ბრძანება წაუღია. მოსალოდნელია, რომ რუსეთი და იაპონია ჯარს ერთსა და იმავე დროს კორეის სხვა-და-სხვა ადგილებში გადასხამენ გემებიდან.—„ბერლინერ ტაგებლატ“-ი იუწყება, ხელმწიფე-იმპერატორმა რომში წასვლა გადასდოო.

ლონდონი. იაპონიის ელჩი იუწყება, საქმეთა მდგომარეობა არ ამართლებს იმ ხმებს, ვითომ რუსეთსა და იაპონიას შუა ომი მოხდებაო.

სოფია. ბოლგარიიდან ბევრი გადმოხვეწილი მოდის. სულ 20 ათასი კაცია მოსული.

ლისაბონი. აზორის კუნძულებზე დიდი ქარიშხალი ამოვარდა და დიდი ზარალი მოუტანა ხალხს.

ვენა. ჰუნგრეთიდან იუწყებიან, გუშინ და დღეს რამდენსამე ადგილას მიწა იძრა.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა, 27 სექტემბერი

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	93,70	
ბერლინისაზე 100 მარკაში	45,95	
პარიზისაზე 100 ფრანკში.	—	
ლონდონისაზე ჩეკები	94,60	
ბერლინისაზე „	46,30	
პარიზისაზე „	$37,57\frac{1}{2}$	
ბირჟის დისკონტი	$5\text{-}6\frac{1}{2}\%$	
4% სახელმწიფო რენტა	$99\ /2$	გაყ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ. . . .	—	
$4\frac{1}{2}\%$ შინაგანი სესხი 1903 წ. . . .	—	
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ. .	$95\frac{1}{8}$	მყიდ.
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ. .	440	გაყ.
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	$335\frac{1}{2}$	„
5% გირ. მომგ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბანკ.	286	„
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ. . .	—	
$4\frac{1}{2}\%$ ობლ. იმავე საზოგად..	—	
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ. . .	—	
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	—	
$4\frac{1}{2}\%$ გირავ. ფურც. ამავე ბანკისა. .	—	
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა.	—	
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. . .	$91\frac{1}{2}$	„
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია. . .	$190\frac{1}{2}$	„

განცხადებანი

ბ ა თ უ მ შ ი
ეჰიმი-ქალი ფავიცკაია
მიიღებს ავადმყოფებს ყოველ დღე. მარიინსკის ქუჩა, ს. ანანიევისა, სახელმწ. ბანკის განყოფილების პირდაპირ.
(4—1741—1)

დ-რის შინდლერ-ბარნაის
„მარი ნზადის რედუქციური აბები“
წინააღმდეგ
ს ი მ ს უ ქ ნ ი ს ა
და საუკეთესო საფაღარათო საშუალება.
ნამდვილი აბები იყიდება მხოლოდ
წითელ კოლოფებში
რომელშიაც აწყვია დარიგება, თუ როგორ იხმარება ეს წამალი, დაწერილი რუსულად, ფრანგულად და გერმანულად.
(Б. 26—3)

ტფილისის ქალაქის
გამგეობა
ამით აცხადებს, რომ 3 ოქტომბერს 1903 წელს, გამგეობისავე თანადარწრებით, მოხდება **საჯარო ვაჭრობა**, რომელზედაც გაიცემა ბორანი მტკვარზე, მუხრანის ქუჩასა და რიყეს შუა. ვისაც ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება ჰსურს, პირობანი შეუძლიან გასინჯოს გამგეობის მეოთხე განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, 9-დან 2 საათამდე. დაბეჭდილი კონვერტები მიიღება ვაჭრობის დაწყებამდე. ვაჭრობაში მონაწილეთ უნდა შეიტანონ ბე 1500 მან.
(2—Б.—2)

პ. ი. ავსარქისოვის
ბ ა ღ შ ი
იყიდება ხეხილები როგორც საზღვარგარეთისა, ისე აქაურ ჯიშისა. ფასები შემდეგია: ერთის წლის ხე—20 კაპ., ასი ცალი—15 მანეთი; ორი წლის ხე—35 კაპ., ასი ცალი—25 მან. ადრესი: უბრალო წერილებისთვის—სადგური სკრა ამიერ-კავ. რკინის გზა; ფულისა და დაზღვეულ წერილებისთვის—გორი, პ. ი. ავსარქისოვს. კატალოგები მსურველთ უსასყიდლოთ გაეგზავნებათ.
(10—143—3)

ქუთაისში
სამ. ბ. თოფურიას
სამკურნალო,
რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

Дозв. ценз. Тифлисъ 29 Сентября 1903 г. ელექტრონის სტამბა წიგნ. გამ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва).